ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სტრატეგიული სამართალწარმოება საქმეზე

IDFI vs საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სექტემბერი, 2015

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“-ფარგლებში**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს“** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.*

შინაარსი:

შესავალი 2

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 5

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 6

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 7

- თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები 9
- ჩანაცვლებული ავტომობილები 10
- წარმომადგენლობითი ხარჯები 11
- ქვეყნის გარეთ განხორციელებული სამივლინებო ხარჯები 13
- გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები 14

დასკვნა 16

შესავალი

პროექტის "საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge" ფარგლებში **2014 წლის 27 იანვარს** IDFI-იმ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნა განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ. განცხადებით მოთხოვნილ იქნა სხვადასხვა სახის ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აღნიშნულ განცხადებაზე პასუხი **2014 წლის 5 მარტს** მოგვეწოდა, თუმცა ის არ შეიცავდა ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას სრულყოფილი სახით. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს პასუხების უმრავლესობა იყო ჯამური შინაარსის და არ შეესაბამებოდა ჩვენს მიერ გაგზავნილი მოთხოვნებს. გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წესით ერთჯერადი გასაჩივრების შემდეგ, რომელიც სამინისტრომ არ განიხილა, 2014 წლის 17 აპრილს სარჩელით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

მხარეთა არგუმენტებისა და სამართლებრივი დასაბუთების მოსმენის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და ფინანსთა სამინისტროს დაავალა გაეცა ინფორმაცია რვა სასარჩელო მოთხოვნიდან შვიდზე (სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მინისტრის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების მიღებას ეხებოდა). აღნიშნული

გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს მიერ გასაჩივრებულ იქნა თავდაპირველად სააპელაციო, ხოლო შემდგომ კი უზენაეს სასამართლოში. მიუხედავად აღნიშნულისა, არცერთმა ზემდგომმა ინსტანციამ არ გაიზიარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არგუმენტაცია. შესაბამისად, მიმდინარე წლის აგვისტოს ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ფინანსთა სამინისტროს დაევალა **სრულყოფილი სახით** გაეცა შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული **პრემიების ოდენობა** თვეების მიხედვით;

2. 2013 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო **დანამატების ოდენობა** თვეების მიხედვით;

3. 2013 წელს სამინისტროს მიერ გაწეული **წარმომადგენლობითი ხარჯები** (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და სამინისტროსაგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);

4. 2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული **სამივლინებო ხარჯების** (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;

5. 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, **შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა** (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;

6. 2013 წელს **გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია**, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით.

7. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა

(თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით).

სასამართლო დავის მიმდინარეობის პროცესში IDFI აღნიშნავდა, რომ უწყების მიერ იმ ინფორმაციის განსაჯაროებაზე უარის თქმა, რომელიც უდავოდ წარმოადგენდა ღია საჯარო ინფორმაციას და პროცესის გაჭიანურება სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესებით გასაჩივრების გზით შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო უწყებაში მიმდინარე გარკვევულ გადაცდომებთან.[1] აღნიშნული ეჭვი ნაწილობრივ დადასტურდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით.[2] დოკუმენტში გამოვლინდა სწორედ იმ კონკრეტული ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვის შესახებ გადაცდომები, რომლის შესახებ IDFI-ის მოთხოვნებზე, ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციის სრულყოფილად გასაჯაროებას თავს არიდებდა. ჩვენი ვარაუდი დამატებით გამყარებულ იქნა ფინანსთა სამინისტროსგან სასამართლოს ძალით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგაც. როგორც უწყებიდან სასამართლო დავის დაწყებამდე (2014 წლის 4 მარტს) მიღებული არასრულყოფილი მონაცმებისა და სასამართლოს ძალით (2015 წლის 2 სექტემბერს) მიღებული სრულყოფილი პასუხის შედარება ცხადყოფს, კონკრეტულ შემთხვევებში მართლაც არსებობდა მნიშვნელოვანი ცდომილება მოწოდებულ ინფორმაციებს შორის.

კვლევაში უპირველესყოვლისა წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო და სააპელაციო, ისევე როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებებსა და არგუმენტაციებს ისეთი ინფორმაციის ღია საჯარო ინფორმაციად მიჩნევის შესახებ, რომელიც IDFI-სა და ფინანსთა სამინისტროს დავის საგანს წარმოადგენდა, ხოლო შემდგომ კი გაგაცნობთ ფინანსთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 4 მარტისა და 2015 წლის 2 სექტემბრის წერილებით მოწოდებული ინფორმაციის მოკლე ანალიზს.

[1] https://idfi.ge/ge/the-reasons-behind-the-lack-of-transparency-of-the-ministry-of-finance.

[2] http://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2015/tb-finansta-saministros-centraluri-aparati.pdf.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება
(29 სექტემბერი, 2014 წელი)

სასარჩელო მოთხოვნაზე მოგვწოდებოდა თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაცია სახელობით თვეების მიხედვით სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაარღვია კანონის მოთხოვნა იქიდან გამომდინარე, რომ არ გასცა ინფორმაცია იმ შინაარსით როგორც ამას ინსტიტუტი მოითხოვდა. კერძოდ ინფორმაცია არ გაიცა თვეების მიხედვით თანამდებობის პირების სახელისა და გვარის მითითებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე ვებ–გვერდზე მითითებას სადაც ეს ინფორმაცია თუნდაც იმავე შინაარსით, შეიძლება იყოს დაცული. კონკრეტულ საქმეში ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითება მოხდა www.declaration.gov.ge –ზე გამოქვეყნებულ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციებზე. სასამართლომ განმარტა, რომ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია შეიცავს მხოლოდ წინა წლის ანაზღაურებადი მუშაობით მიღებული შემოსავლის ჯამურ თანხას, შესაბამისად შეუძლებელი იყო ინტიტუტს აღნიშნული ვებ–გვერდიდან მიეღო ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ მიღებული შემოსავლის შესახებ ცალ–ცალკე თვეების მიხედვით, ისევე როგორც ინფორმაცია ერთიანი თანხის შემადგენელი კომპონენტების შესახებ (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი).

ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯებისა და ქვეყნის გარეთ განხორციელებული ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯების გაცემასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნული ხარჯების განსაზღვრისთვის ადმინისტრაციული ორგანის ვებ–გვერდზე მითითება არ შეიძლებოდა მიჩნეულ ყოფილიყო საჯარო ინფორმაციის გაცემად, იქიდან გამომდინარე რომ ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არ იძლეოდა კონკრეტულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების გამიჯვნის საშუალებას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ასევე გადაუდებელი აუცილებლობით განხორცილებული შესყიდვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. მან მიუთითა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის პრინციპზე და ხაზი გაუსვა იმას, რომ სამინისტროს პასუხი არ შეიცავდა კანონით გათვალიწინებულ რომელიმე გამონაკლისზე მითითებას. შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს დაევალა გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინსტიტუტისთვის ინფორმაციის მიწოდება მოთხოვნილი ფორმით.

ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით გაცემასთან დაკავშირებით, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ განმცხადებელი თავად არჩევს საჯარო ინფორმაციის მისთვის სასურველ ფორმას. მოცემულ შემთხვევაში იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნილი არ იყო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით და განსაკურებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული შინაარსის შემცველი ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სამინისტროს ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული არ ყოფილა უდავოა, რომ მსგავს შემთხვევაში სამინისტრო არღვევს ვალდებულებას გასცეს ინფორმაცია მოთხოვნილი სახით.

სასამართლომ განმარტება გააკეთა ასევე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მან არ გაიზიარა მოპასუხის მითითება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თაობაზე და აღნიშნა, რომ კონკრეტული ინფორმაცია (მაგ პრემიების და დანამატები, სახელმწიფო შესყიდვები) ვებ–გვერდზე გამოქვეყნებულია ჯამური სახით და განახლებადია კვარტალურად. შესაბამისად, როდესაც განმცხადებელი მოითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემას დაჯგუფებულს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, ის არ უნდა შეიზღუდოს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსით და მისთვის სასურველი ინფორმაცია უნდა მიიღოს მოთხოვნილი ფორმით. შესაბამისად სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო მიუხედავად კონკრეტული ინფორმაციის ვებ–გვერდზე გამოქვეყნებისა გაეცა ის ზუსტად იმ შინაარსით რაც განმცხადებლის მიერ იყო მოთხოვნილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება
(21 იანვარი, 2015 წელი)

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს მხრიდან გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა მოსაზრებები და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ყველა პუნქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 იანვრის განჩინებით უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება
(23 ივლისი, 2015 წელი)

2015 წლის 25 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გასაჩივრებულ იქნა უკვე საკასაციო წესით. კერძოდ, ფინანასთა სამინისტრო კვლავაც უარს აცხადება მოთხოვნილი სახით გაეცა ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების, 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობების, სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2013 წელს გაწეული ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების, სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობით ხარჯებისა და გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში 2015 წლის 1 მაისს ხოლო 2015 წლის 23 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საქართველოს უზენაესის სასამართლოს განმარტებით ფინანასთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ იყო დასაშვები არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ კასატორი ვერ ასაბუთებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და ვერ აქარწყლებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი არ იყო დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო

სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავების არსებობის საფუძლით. **უზენაესი სასამართლოს განმარტებით არ არსებობდა საკასაციო საჩივრის განხილვისა და უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკსაციო საჩივარი, მიუთითა რა, რომ საკასაციო საჩივარს არ გააჩნდა წარმატების პერსპექტივა.

თითქმის ერთწლიანი დავისა და გადაწყვეტილების ყველა სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების შემდეგ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მხოლოდ 2015 წლის 2 სექტემბერს შეასრულა საკუთარი ვალდებულება, აღასრულა სასამართლო გადაწყვეტილება და მოგვაწოდა ინფორმაცია 2013 წლის განმავლობაში გაწეული ადმინისტრაციულ ხარჯებზე. შესაბამისად, ქვევით წარმოგიდგენთ მიღებული ინფორმაციის მოკლე შეჯამებას.

თანამდებობის პირთა პრემიები და დანამატები

უპირველესყოვლისა უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ფინანსთა სამინისტრო უარს აცხადებდა თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდებაზე და ნაცვლად ამისა მიგვითითებდა ინფორმაცია თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებში მოგვეძიებინა. სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ კი სამინისტრომ დეტალური სახით, თვეებისა და თანამდებობის პირთა სახელებისა გვარების მითითებით მოგვაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

2014 წლის 5 მარტის პასუხი:

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს - 175365 ლარს;

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს;

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა ხელფასების და პრემიების შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საჯარო სამსახურის ბიუროს „თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ონლაინ სისტემის“ გამოყენებით შემდეგ ვებ-გვერდზე: www.declaration.gov.ge .

2015 წლის 2 სექტემბრის პასუხი:

N	გვარი, სახელი	თანამდებობის დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	ხადური ნოდარი	მინისტრი		4335	4335	4335	4335	4335
2	ჯავახიშვილი გიორგი	მინისტრის მოადგილე				4530	4530	4530
3	ჩხეიძე დავითი	შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი	4260	4260	3652	3500	3500	3500
4	შაქარაშვილი დავითი	სამინისტროს ბიუროს უფროსი	4260	4260	3652	3500	3500	3500
5	ქევხიშვილი დავითი	დავების განხილვის სამსახურის უფროსი	4260	4260	3652	3500	3500	3500
6	სხირტლაძე იოსები	სახ.ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსი	4260	4260	3652	3500	3500	3500
7	მჭედლიშვილი ნინო	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	4260	4260	2556	3500	3500	3500
8	ლოლაძე ანდრო	სამსახურის უფროსი						
9	ლეჟავა დავითი	მინისტრის მოადგილე	5440	5440	4712	4530	4530	4530
10	კაკაურიძე გიორგი	საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი	4260	4260	3652	3500	3500	3500

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად 2013 წლის განმავლობაში თანამდებობს პირებზე სულ გაიცა 175 365 ლარის ოდენობის პრემია. აღსანიშნავია, რომ გაცემული პრემიების დიდი წილი 2013 წლის ბოლო ორ თვეზე მოდის. რაც შეეხება თითოეული თანამდებობის პირის მიერ მიღებულ პრემიას, მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ წლის განმავლობაში პრემია არ მიუღია ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს, თუმცა, ის ყოველთვიურად იღებდა პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სახელფასო დანამატს 4335 ლარის ოდენობით. დაახლოებით მსგავსია სურათი სხვა თანამდებობის პირების შემთხვევაშიც, როდესაც პრემიები გაიცა წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე, ხოლო დანამატებს კი თანამდებობის პირები იღებდნენ ფინანსთა მინისტრის დადგენილი წესის მიხედვით ყოველთვიურად. ჯამში 2013 წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე გაიცა დანამატი 648 819 ლარის ოდენობით.

ჩანაცვლებული ავტომობილები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ 2013 წელს უწყებამ ავტომობილთა ჩანაცვლების გზით გასწია 1 799 254 ლარის ხარჯი. კერძოდ უწყების მიერ ჩანაცვლებულ იქნა 73 ერთეული ავტომობილი საერთო ღირებულებით 818 700 ლარი, იმავე რაოდენობის 2 617 954 ლარის ღირებულების ავტომობილით. მაგალითად, 2013 წლის მარტს სამი ერთეული ავტომანქანა OPEL თითოეული ღირებულებით 2 200 ლარი ჩანაცვლდა 47 600 ლარის ღირებულების Voksvagen Passat-ით. აგვისტოს თვეში ავტომობილი GAZ 22171 ფურგონი ღირებულებით 1500 ლარი ჩანაცვლდა 124 500 ლარის ღირებულების TOYOTA LENDCRUISER-ით.

აღსანიშნავია, რომ მანამ სანამ ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასამართლოს ძალით დაევალებოდა, სამინისტრომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სრულებით განსხვავებული ინფორმაცია მოგვაწოდა, სადაც აღნიშნავდა, რომ 2013 წელს სამინისტროს მიერ შეძენილ იქნა 22 ავტომანქანა საერთო ღირებულებით 212 805 ლარი.

2014 წლის 5 მარტის პასუხი:

2013 - წელს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისთვის ჩანაცვლების წესით შეძენილი იქნა 22 ავტომანქანა ღირებულებით 212805,00 ლარი.

2015 წლის 2 სექტემბრის პასუხი:

24/07/2013	ავტომანქანა SKODA OCTAVIA	1	32800.68
24/07/2013	ავტომანქანა SKODA OCTAVIA	1	32800.68
24/07/2013	ავტომანქანა SKODA OCTAVIA	1	32800.68
24/07/2013	ავტომანქანა SKODA OCTAVIA	1	32800.68
21/08/2013	ავტომანქანა TOYOTA LENDCRUISER PRADO VX3.OL T/disel D4-D MODEL2013	1	101094
21/08/2013	ავტომანქანა TOYOTA LENDCRUISER VDJ200 SFX (DS/ES) 4.5 T/Diesel, 8seats, MY 2013	1	124500
21/08/2013	ავტომანქანა VOLKSWAGEN PASSAT CC MY2012	1	53950

წარმომადგენლობითი ხარჯები

მოთხოვნაზე მოეწოდებინათ ჩვენთვის ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ უწყებამ მოგვაწოდა მონაცემები მხოლოდ ოფიციალური სადილებზე გამოყოფილი და დახარჯული სახელმწიფო ფინანსების შესახებ, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ 2013 წლის განმავლობაში სამინისტროს არ გაუწევია სხვა სახის წარმომადგენლობითი ხარჯი. როგორც მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, 2013 წლის განმავლობაში სულ სამინისტროს მიერ გაწეულ იქნა 188 365 ლარის ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯი. ყველაზედ მეტი 14 042 და 14 840 ლარის ოდენობით ხარჯი გამოიყო შპს „გუჯარის“ მიერ გაწეული მომსახურებისთვის ორი ღონისძიების ფარგლებში, როდესაც სამინისტრო 380 და 78 სტუმარს მასპინძლობდა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მარტის პასუხისგან განსხვავებით როდესაც მოგვეწოდა ინფორმაცია მხოლოდ ჯამური სახით და დელეგაციებისა და მისიების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად მიგვეთითა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ამჯერად უწყებამ გასცა აღნიშნული ინფორმაცია დეტალური სახით.

2014 წლის 5 მარტის პასუხი:

2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ უმასპინძლა 33 საერთაშორისო დელეგაციას (დელეგაციების შემადგენლობაში სხვადასხვა შემთხვევაში შედიოდა 3-დან 80 ადამიანამდე). მათი მასპინძლობისთვის ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან დაიხარჯა 188.395,40 ლარი;

ინფორმაცია დელეგაციების, მისიების და ვიზიტების თაობაზე შეგიძლიათ იხილოთ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mof.ge.

2015 წლის 2 სექტემბრის პასუხი:

ღონისძიების ადგილი და ორგანიზაცია	ოფიციალური სადილი		საკონფერენციო დარბაზის დაქირავება	შენიშვნა
	თანხა	სტუმრების რაოდენობა		
სს სასტუმროებისა და რესტ.მენეჯმენტ ჯგ.-ემ/გრუპ"	367.95	8 პერსონა		დელეგაციის მასპინძლობა(ევროკომისიის მისიის ვიზიტი)
შპს,,ძველი სახლი"	385.66			დელეგაციის მასპინძლობა (პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპ. დელეგაც. ვიზიტი)
სს სასტუმროებისა და რესტ. მენეჯმენტ ჯგ.-ემ/გრუპ"	1283.70	15 პერსონა		დელეგაციის მასპინძლობა (პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპ. დელეგაც. ვიზიტი)
შპს,,კოპალა"	1044.78			დელეგაციის მასპინძლობა (პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპ. დელეგაც. ვიზიტი)
შპს,,მეიდანი-ჯ"	1522.72	14 პერსონა		დელეგაციის მასპინძლობა (პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპ. დელეგაც. ვიზიტი)
სს სასტუმროებისა და რესტ. მენეჯმენტ ჯგ.-ემ/გრუპ"	273.90	9 პერსონა		დელეგაციის მასპინძლობა (პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპ. დელეგაც. ვიზიტი)
შპს,,რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია"			1410.00	პროექტის პრეზენტაცია
შპს,,რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია"			2320.00	პროექტის პრეზენტაცია
შპს,,წისქვილი"	295.60			დელეგაციის მასპინძლობა (პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დაზვერვის დეპ. დელეგაც. ვიზიტი)
შპს,,გურმანი"	1632.84	30 პერსონა		დელეგაციის მასპინძლობა(ყირგიზეთის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი)
შპს,,წისქვილი"	1347.10			ღონისძიება
შპს,,რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია"			1326.00	პროექტის პრეზენტაცია(საქართველოს აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ხელმძღვალელების შეხვედრასთან დაკავშირებით)

ქვეყნის გარეთ განხორციელებული სამივლინებო ხარჯები

2013 წელს სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯებმა სულ 143 554.73 ლარი შეადგინა. მიღებული ინფორმაციის თანახმად ყველაზე მაღალი სამივლინებო ხარჯები გაწეულ იქნა სხვადასხვა ვიზიტის ფარგლებში აშშ-ში, რაც მეტწილად მგზავრობის მაღალი ხარჯით აიხსნება.

2014 წლის 5 მარტის პასუხი:

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფოციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 143554.73 ლარს (მათ შორის: დღიური - 41277.25 ლარი; სასტუმრო - 53665.01 ლარი; მგზავრობა 45869.57 ლარი; სხვა ხარჯები - 2742.90 ლარი).

2014 წლის 2 სექტემბრის პასუხი:

N	დასახელება	მივლინება ქვეყნის გარეთ-2013წელი (თანამდებობის პირები)				ხარჯვითი კატეგორიის მიხედვით				სულ
		თარიღი	ბრძანება	მიზანი	ქვეყანა	დღიური	სასტუმრო	მგზავრობა	მივლინების დროს სხვა ხარჯი	
1	ნოდარ ხადური	23.01.13-04.02.13	N 26 23.01.13	სამუშაო ვიზიტი	ამერიკის შეერთებული შტატები	1800.68	4486.85	2227.00	60.88	8575.41
		27.02.13-03.03.13	N 66 22.02.13	სამუშაო ვიზიტი	საფრანგეთი	1102.30	2099.62	1585.40	525.00	5312.32
		17.01.13	N 21 17.01.13	სამუშაო ვიზიტი	სომხეთი	105.04				105.04
		13.04.13-24.04.13	N 123 02.04.13	სამუშაო ვიზიტი	ამერიკის შეერთებული შტატები	2138.16	3587.54	2699.20	143.48	8568.38
		30.04.13-06.05.13	N137 12.04.13	სამუშაო ვიზიტი	ინდოეთი	624.60	1022.81	1253.60		2901.01
		08.05.13-12.05.13	N 177 01.05.13	სამუშაო ვიზიტი	თურქეთი	644.97	3019.26	733.00	118.77	4516.00
		18.05.13-21.05.13	N 180 01.05.13	სამუშაო ვიზიტი	ყირგიზეთი	412.93				412.93
		22.05.13-25.05.13	" ---"	სამუშაო ვიზიტი	ყაზახეთი	472.81	1870.79			2343.60
		26.08.13-30.08.13	N 539 19.08.13	სამუშაო ვიზიტი	ყაზახეთი	597.71	1062.59	1568.90		3229.20
		05.10.13-14.10.13	N 670 24.09.13	სამუშაო ვიზიტი	ამერიკის შეერთებული შტატები	1795.08	3843.97	2408.60		8047.65
		15.10.13	N 699 07.10.13	სამუშაო ვიზიტი	" ---"	179.22	13.29			192.51
		16.11.13	N 793 15.11.13	შეხვედრაზე მონაწილეობა	თურქეთი- აქთაში,არდაგანი	134.40				134.40

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები

2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ფინანსთა სამინისტროს მიერ განკარგულ იქნა 294 890 ლარი. ყველაზე მაღალ ბიუჯეტიან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ შესყიდვას 63 209 აშშ დოლარის ღირებულების სარეკლამო მომსახურების შესყიდვა წარმოადგენდა.

2014 წლის 5 მარტის პასუხი:

ფინანსთა სამინისტროს მიერ 2013 წლის განმავლობაში გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა 294890,43 - ლარის ოდენობით საქონლის/მომსახურების შესყიდვა.

2014 წლის 2 სექტემბრის პასუხი:

გადაუდებელი აუცილებლობა	სარეკლამო მომსახურებები	–	63209.08 აშშ დოლარი
გადაუდებელი აუცილებლობა	თარგმნა და თარჯიმანი	200 გვერდი	2,000.00
გადაუდებელი აუცილებლობა	დასუფთაქვება	1 ობიექტი 1 თვით	11,000.00
გადაუდებელი აუცილებლობა	დასუფთაქვება	1 ობიექტი, 1 თვით	10,000.00
გადაუდებელი აუცილებლობა	ვიდეორგოლოს დამზადება	1 რგოლი	16,510.56
გადაუდებელი აუცილებლობა	სეიფის გახსნა	3 ერთეული	375.00
გადაუდებელი აუცილებლობა	სეიფის გახსნა	1 ერთეული	100.00
გადაუდებელი აუცილებლობა	სეიფის გახსნა	1 ერთეული	125.00

მიწერილობები შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თავდაპირველად უპასუხოდ დატოვა ჩვენი მოთხოვნა 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან შესაბამისი მიწერილობის (წერილობითი შეთანხმება) მოწოდების შესახებ. უწყებამ დოკუმენტაცია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ მოგვაწოდა.



საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ ნოდარ ხადურს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ნინო მჭედლიშვილს

04.04.2013

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნოდარ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამინისტროს ბიუროს 2013 წლის 02 აპრილის №33317-01 მოხსენებითი ბარათით გვეცნობა, რომ შესამლო მოკლე ვადაში საჭიროა თქვენი კომპიუტერის განახლება და ახალი მობილური ტელეფონის შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მობილური ტელეფონი iPhone-5 VS და მონიტორი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 10³ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შეისყიდოს გამარტივებული შესყიდვით.

დანართი: 1 ფურცელი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამინისტროს ბიუროს 2013 წლის 02 აპრილის №33317-01 მოხსენებითი ბარათის ასლი).

პატივისცემით,

დასკვნა

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ საქმე IDFI საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ უნდა გახდეს პრეცენდენტული საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა გამჭვირვალობის თვალსაზრისით. სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ აზუსტებს საჯარო დაწესებულებათა ვალდებულებებს კონკრეტული სახის ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით და ადგენს მაღალ სტანდარტს ინფორმაციის იმ სახით გაცემასთან დაკავშირებით, როგორც ეს საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით შეიძლება იყოს მოთხოვნილი.

საჯარო დაწესებულებათა მოთხოვნილი ინფორმაციის დეტალური სახით გაცემის აუცილებლობა კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან წარმოებული დავის მაგალითზე, როდესაც გადაცდომები იქნა გამოვლენილი სწორედ იმ ინფორმაციასთან მიმართებით რომელიც მხარეთა შორის დავის საგანს თითქმის ერთი წლის განმავლობაში წარმოადგენდა.

მოცემულ საქმეზე საქართველოს სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას ქვემოთ მითითებული ინფორმაციის ღია საჯარო ინფორმაციად მიჩნევის საკითხი. საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურებსა და სტანდარტებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია საჯარო უწყებების მიერ გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების შემდეგი მითითებები:

1) **ინფორმაციის მოთხოვნისას ადმინისტრაციული ორგანის ვებ–გვერდზე მითითება არ შეიძლება მიჩნეულ იყოს საჯარო ინფორმაციის გაცემად, იმ შემთხვევაში, როდესაც ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის დეტალური და იძლევა მხოლოდ ჯამურ სურათს.** მაგალითად, მოცემულ საქმეში ფინანსთა სამინისტროს მიერ მითითება მოხდა www.declaration.gov.ge –ზე გამოქვეყნებულ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციებზე. აღნიშნულ ვებ-გვერდზე კი ინფორმაცია არ ქვეყნდება იმ სახით, როგორც ეს IDFI-ის მიერ იყო მოთხოვნილი;

2) **ინფორმაციის ჯამური სახით გაცემასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს განმარტებით საჯარო ინფორმაციის გაცემად არ ჩაითვლება ინფორმაციის გაცემა ჯამური სახით, მაშინ როდესაც განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია დეტალური მონაცემები.** მაგალითად, სასამართლოს მიერ კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმით აღნიშნული, რომ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია შეიცავს მხოლოდ წინა წლის

ანაზღაურებადი მუშაობით მიღებული შემოსავლის ჯამურ თანხას, შესაბამისად შეუძლებელია აღნიშნული ვებ–გვერდიდან ინფორმაციის მიღება თანამდებობის პირების მიერ მიღებული შემოსავლის შესახებ ცალ–ცალკე თვეების მიხედვით, ისევე როგორც ერთიანი თანხის შემადგენელი კომპონენტების შესახებ (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი). შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს მიერ იმ წყაროზე მითითება სადაც ინფორმაცია მხოლოდ ჯამური სახით იყო ხელმისაწვდომი ვერ ჩაითვლებოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემად. მოცემულ საქმეში სასამართლოს მიერ პრობლემურად შეფასდა ასევე ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე მითითებაც, იქიდან გამომდინარე რომ ის არ შეიცავდა მონაცემებს კონკრეტულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების შესახებ;

3) **ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით გაცემასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებების მიერ გათვალისწინებულ იქნას ის, რომ განმცხადებელი თავად არჩევს საჯარო ინფორმაციის მისთვის სასურველ ფორმას.** იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია ინფორმაცია მატერიალური ფორმით, დაუშვებელია საჯარო უწყებების მიერ მათ ვებ-გვერდზე მითითება.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადმინისტრაციულმა ორგანომ ყურადღება გაამახვილოს მოცემულ საქმეში სასამართლოს არგუმენტაციაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენოს საკითხი ისეთი ინფორმაციის გაცემის შესახებ, რომელიც IDFI-სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის მიმდინარე დავაში სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა ღია საჯარო ინფორმაციად. აღნიშნული გასათავლისწინებელია, იმ სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რომელებიც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხით გამოირჩევიან.